ექსპერტის განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N5630748 გადაწყვეტილებაში მითითებულ N1 ხარვეზთან დაკავშირებით განვმარტავ შემდეგს:

903.3.1.1.1 ქვეთავის მიხედვით, არის გამონაკლისი ადგილები, სადაც ავტოსაშხეფები საჭირო არ არის და მათ შორისაა ნებისმიერი ოთახი სადაც წყლის გამოყენება სერიოზულ საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ხოლო ასეთ ოთახებად მიიჩნევა, როგორც ელექტრო მოწყობილობების ოთახები, ასევე საოპერაციოები და მასთან გათანაბრებული სივრცეები, ამიტომ უშუალოდ ძირითად შენობაში მდებარე ის ოთახები, სადაც ელექტრომოწყობილობებია გათვალისწინებული აღჭურვილია ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემებით, რომელთა გამოყენება, 903.1.1 ქვეთავის მიხედვით, დასაშვებია ავტოსაშხეფებთან ერთად ანუ ავტოსაშხეფით აღჭურვილ შენობებში, ხოლო საოპერაციოებში და კიდევ რამდენიმე ადგილას ავტომატური ხანძარქრობა გათვალისწინებული საერთოდ არ არის, რადგან აქ ალტერნატივის გამოყენებაც არ შეიძლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან არსებობს დასაშვები გამონაკლისები, ექსპერტის აზრით, საპროექტო შენობა უნდა ჩაითვალოს მთლიანად ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვილ შენობად (დამატებით იხ. ტექნოლოგიური პროექტის შემდგენელის - შ.პ.ს „ინოსისტემსის“ დირექტორის - დავით ჩხენკელის განმარტება).

პატივისცემით,

არქიტექტორი, ირაკლი კვარაცხელია

შ.პ.ს. ინოსისტემსი
მისამართი: ვაჟა ფშაველას 16
ს/კ: 405189120
Mob.: +995 551 707 222
Tel/Fax: +995 032 237 10 07
E-mail: info@innosystems.ge
www.innosystems.ge

L.T.D. Innosystems
Address: Vazha Pshavela 16
I/C: 405189120
Mob.: +995 551 707 222
Tel/Fax: +995 032 237 10 07
info@innosystems.ge
www.innosystems.ge

თქვენი წერილის პასუხად გვინდა გაცნობოთ საოპერაციოები მიეკუთვნება მაღალი რისკის ობიექტს და მათი მოწყობის წესი რეგულირდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისბრძანება №298/ნ 2001 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი წესით და საერთაშორისო სტანდარტით ISBN 978-9941-13-894-2; ISBN 978-9941-13-895-9.

აგრეთვე, PTM 42-2-4-80 საოპერაციო ბლოკები, ექსპლუატაციის ნორმები და წესები, უსაფრთხოების ტექნიკა და საექსპლუატაციო სანიტარია.

პუნქტი 1.6

საოპერაციო ბლოკი შედგება: საოპერაციო, სანარკოზე, განაყოფიერების ოთახი, ლაპარასკოპია, ქირურგის მოსამზადებელი, ქირურგის ხელსაბანი, ემბრიოლოგია. სივრცეები რომელიც შედის საოპერაციო ბლოკში სახანძრო უსაფრთხოების და ელექტრო უსაფრთხოების კუთხით მიეკუთვნებიან სივრცეებს ძალიან მაღალი რისკით.

საოპერაციოში ჰაერის შემადგენლობა უნდა იყოს სტერილური

შესაძლებელია სახანძრო სისტემის მოულოდნელი ცრუგაშვება (ცრუჩართვა)

საოპერაციოში მიმდინარეობს როგორც წესი ქირურგიული ჩარევა ოპერაცია, რაც გამორიცხავს დამატებით საოპერაციოში რაიმე დაბინძურების შემომტან მანიპულაციებს. ამის გამო საოპერაციოში დგება მხოლოდ ასპირაციული ან თბური სახანძრო დეტექტორები. იხილეთ სუსტდენიანი სისტემების პროექტი.

აგრეთვე იქ, სადაც იმყოფებიან ადამიანები ხანძარქრობის რეაგენტად შესაძლებელია გამოვიყენოთ მხოლოდ წყალი. წყალი აგრეთვე წარმოადგენს საფთხეს ელექტრო მოწყობილობებისთვის, რომელიც განლაგებულია საოპერაციოში.

ГОСТ Р 50571.28-2007710.512.1.1 Трансформаторы для медицинских IT систем

პატივისცემით,

დავით ჩხენკელი

შპს „ინოსისტემსის“ დირექტორი

შ.პ.ს „ქალაქპროექტი“

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.006.976) დაპროექტებული რეპროდუქტოლოგიური კლინიკის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

დირექტორი: მანუჩარ მახათაძე

ექსპერტი: ირაკლი კვარაცხელია

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 1

საექსპერტო შეფასების გამოყენების წესები:

- საექსპერტო შეფასება მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს;

- საექსპერტო შეფასებაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში“ გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით;

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არ არის ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის ძალადაკარგვას;

- არქიტექტურულ პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე შეფასების ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან;

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე;

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
3. პირობითი აღნიშვნები;
4. სიტუაციური გეგმა;
5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმა (გენგეგმა)
6. შენობის ყველა სართულის გეგმა (არქიტექტურული ნაწილი);
7. მიწის საკონტროლო დონის გამოთვლის გეგმა (არქიტექტურული ნაწილი);
8. შენობის ფასადები (არქიტექტურული ნაწილი);
9. შენობის ჭრილები (არქიტექტურული ნაწილი);
10. გზა-კიბის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
11. აივნის მოაჯირის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
12. საფასადე სიბრტყეების გადახურვის ფილის კვეთის და ფანჯრის ვერტიკალური კვეთის დეტალიზაცია (არქიტექტურული ნაწილი);
13. სახურავის ანაწყობის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
14. კარის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
15. ლიფტის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
16. მისაწვდომი ტუალეტების დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
17. შენობის ყველა სართულის გეგმა (დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი);
18. შენობის ჭრილები (დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი);
19. შენობის ყველა სართულის გეგმა (ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
20. შენობის ჭრილები (ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
21. კონსტრუქციული ტიპის დეტალები (ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
22. შენობის ყველა სართულის გეგმა (მისაწვდომობის ნაწილი);
23. წყალსადენი მოწყობილობების დეტალური ნახაზები (მისაწვდომობის ნაწილი);
24. ნიშნების დეტალური ნახაზები.

საექსპერტო დასკვნის შემადგენელი ნაწილები:

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება;
2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება;
5. გზა–კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6. მისაწვდომობის შეფასება;
7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8. სახურავის ანაწყობების შეფასება;
9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება;
10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება;
12. ლიფტების შეფასება;
13. დწ-2 ჯგუფის მოთხოვნების შეფასება;
14. ატრიუმის შეფასება.

გამოკვლევა:

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

- **დაწესებულებითი ჯგუფი დწ-2** (მორგი -4.02 ნიშნულზე; პალატები, ინტენსიური თერაპიის პალატა, განაყოფიერებისა და ლაპარასკოპიის ოთახები ქირურგის მოსამზადებელ და ხელსაბან სივრცეებთან ერთად, მორიგე მედდის ოთახი, ემბრიოლოგიის ოთახი, სტერილიზაციის ოთახი, დიუარი, დონორის ოთახი, აგრეთვე რამდენიმე თანმხლები გამოყენების ოთახი, კერძოდ: ლაბორატორიები, ნარჩენების ოთახი და სუფთა და ბინძური თეთრეულის ოთახები და ხსნარების ოთახი +4.20 ნიშნულზე);

  შენიშვნა: ლაბორატორიები, ნარჩენების ოთახი, თეთრეულის შესაგროვებელი ოთახები და ა.შ, 509-ე ცხრილის თანახმად, ითვლება თანხმლებ გამოყენებებად, რომლებიც, 509.2 ქვეთავის თანახმად, არ უნდა კლასიფიცირდეს 302.1 ქვეთავის მიხედვით ანუ ინდივიდუალურად, რადგან ისინი შედის შენობის იმ დაკავებულობებში, რომელთა საზღვრებშიც ისინი ფუნქციონირებს, შესაბამისად რადგან ეს ფართობები ამ შემთხვევაში დწ-2 ის საზღვრებშია, მათთვის მართებულად არის მინიჭებული დწ-2 დაკავებულობა.

  აღნიშნული შეესაბამება 308.4 და 509.2 ქვეთავებს.

- **საქმიანი ჯგუფი სქ** (სამედიცინო ისტორიების ოთახი, რენტგენის კაბინეტი, სამზარეულო, სამრეცხაო, დაცვის ოთახი, ინჟინერ-ტექნიკოსის ოთახი -4.02 ნიშნულზე; სალარო, მცირე საკონფერენციო ოთახი, მენეჯერის ოთახი, ლაბორატორია, ამბულატორიული მომსახურების ოთახები და ოფისი ±0.00 ნიშნულზე; მთავარი მედდის ოთახი, ექიმების ოთახები და ოფისი +4.20 ნიშნულზე; ორი მცირე საკონფერენციო ოთახი, სამზარეულო-სასადილო და ადმინისტრაციის თანამშრომლების ოთახები/ოფისები +8.40 ნიშნულზე);

  აღნიშნული შეესაბამება 304.1 და 303.1.2 ქვეთავებს.

- **თავშეყრის ჯგუფი თვ-2** (ერთ სივრცეში მყოფი მიმღები და კაფეტერია ±0.00 ნიშნულზე)

  აღნიშნული შეესაბამება 303.3 ქვეთავს.

- **სავაჭრო ჯგუფი სვ** (აფთიაქი ±0.00 ნიშნულზე)

  აღნიშნული შეესაბამება 309.1 ქვეთავს.

- **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (მედიკამენტების და ინვენტარის საწყობები -4.02 ნიშნულზე);
  აღნიშნული შეესაბამება 311.2 ქვეთავს.

- **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (სატრანსფორმატორო-3.40 ნიშნულზე, საგენერატორო -3.80 ნიშნულზე; ნარჩენების საცავი, ხსნარების შესანახი ოთახი, სერვერის ოთახი, UPS-ის ოთახი და სამრეწველო ინვენტარის საწყობი -4.02 ნიშნულზე);
  აღნიშნული შეესაბამება 311.3 ქვეთავს.

- **დამხმარე ჯგუფი დს** (ტექნიკური მოწყობილობების ოთახები -4.02 და -3.80 ნიშნულებზე;, სასმელი წყლის ტუმბოს ოთახი -4.02 ნიშნულზე; სახანძრო ტუმბოების ოთახი -4.72 ნიშნულზე; დამხმარე სათავსოები -4.02 და ±0.00 ნიშნულებზე; საქვაბე -3.80 ნიშნულზე);
  აღნიშნული შეესაბამება 311.3 ქვეთავს.

რაც შეეხება დაკავებულობის დატვირთვას, საპროექტო შენობაში გათვალისწინებული კონკრეტული ფართობებისათვის დაკავებულობის დატვირთვის გამოთვლა პროექტის ავტორის მიერ განხორციელებულია ორი მეთოდით;

მეთოდი 1:

არჩეულია სივრცეების დანიშნულება 1004.1.2 ცხრილის მიხედვით და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობები გაყოფილია, ზემოხსენებული ცხრილის შესაბამის, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებზე, კერძოდ:

- ექიმების და მედდების ოთახებისთვის, აგრეთვე ამბულატორიული მომსახურების ოთახებისთვის მიკუთვნებულია ამბულატორიული მკურნალობისთვის განკუთვნილი სივრცის სტატუსი და შემდგომ თითოეული ამ სივრცის ფართობი გაყოფილია 9,3-ზე;

- სამედიცინო ისტორიების ოთახისთვის, სამრეცხაოსთვის, ინჟინერ-ტექნიკოსის ოთახისთვის, სალაროსთვის, ადმინისტრაციის თანამშრომლების ოთახებისა და დაცვის ოთახისთვის მიკუთვნებულია საქმიანობის წარმოების სივრცის სტატუსი და შემდგომ თითოეული ამ სივრცის ფართობი გაყოფილია 9,3-ზე;

- -4.02 ნიშნულზე მდებარე სამზარეულოს მიკუთვნებული აქვს კომერციული სამზარეულოს სტატუსი და შემდგომ მისი ფართობი გაყოფილია 18,6-ზე;

- კაფეტერიას, მცირე საკონფერენციო ოთახებს და +8.40 ნიშნულზე მდებარე სამზარეულო-სასადილოს მიკუთვნებული აქვს არაფიქსირებული დასაჯდომებიანი თავშეყრის (არაკონცენტრირებული) სტატუსი და შემდგომ თითოეული ამ სივრცის ფართობი გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის ფაქტორზე ანუ 1,4-ზე;

- აფთიაქისთვის მიკუთვნებულია მიწის დონის ქვედა და მიწისპირა სავაჭრო-კომერციული სივრცის სტატუსი და შემდგომ მისი ფართობი გაყოფილია 2,8-ზე;

- საავადმყოფოს პალატებისთვის, მათ შორის ინტენსიური თერაპიის პალატისთვის, მიკუთვნებულია დასაძინებელი ფართობების სტატუსი და შემდგომ თითოეული ამ პალატის ფართობი გაყოფილია 11,2-ზე;

- მედიკამენტების საცავებისათვის, ნარჩენების საცავისთვის, ხსნარების შესანახი ოთახისა და სამრეწველო ინვენტარის საწყობისათვის მიკუთვნებულია საწყობების სტატუსი და შემდგომ თითოეული მათგანის ფართობი გაყოფილია 46,5-ზე;

- ტექნიკური ოთახებისთვის, სატრანსფორმატოროსთვის, საგენერატოროსთვის, საქვაბესთვის, ტუმბოების ოთახისა და დამხმარე სათავსოებისთვის, აგრეთვე სერვერისა და UPS-ის ოთახებისათვის მიკუთვნებულია დამხმარე სათავსების და მექანიკური მოწყობილობების ოთახის სტატუსი და მათი ფართობები გაყოფილია 27,9-ზე.

მეთოდი 2:

- გარკვეული სივრცეების, ისეთების როგორიც არის: საოპერაციოები ანუ განაყოფიერებისა და ლაპარასკოპიის სივრცეები, მორგი, ლაბორატორიები, სტერილიზაციის ოთახი, დონორის ოთახი, ნარჩენების ოთახი, თეთრეულის ოთახები, გასახდელები, სალარო და ა.შ დაკავებულობის დატვირთვა გამოთვლილია დამკავებელთა რეალური რაოდენობის მიხედვით, ამ სივრცეების ფუნქციონირების სპეციფიკიდან გამომდინარე (იხ. განმარტებითი ბარათი), რაც დასაშვებია 1004.1.2 ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით.

შენიშვნა№1: დაკავებულობის დატვირთვის გამოთვლა დამკავებელთა რეალური რაოდენობის მიხედვით უნდა აღიაროს მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ.
შენიშვნა №2: დაკავებულობები დამრგვალებულია მთელის სიზუსტით.

დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციულ ტიპად განსაზღვრულია **I-B** ტიპი, რაც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში).

შენიშვნა: კონსტუქციული(სტრუქტურული) პროექტის დამუშავებისას დაცულ უნდა იქნას პროექტში მითითებული ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის 721-ე ქვეთავის მიხედვით.

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- დაკავებულობების და კონსტრუქციული ტიპის (I-B) გათვალისწინებით საპროექტო შენობების სიმაღლე (შესაბამისად სართულიანობა) და ფართობი აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს;

- შენობის მაქსიმალური სიმაღლე მიწის საკონტროლო დონიდან 15.80 მეტრია, ხოლო შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 10.61 მ-ზე ანუ 23,0 მ-ზე დაბლა და შესაბამისად, „წესების“ განმარტების მიხედვით, საპროექტო შენობა არ არის მაღლივი.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

შენობის ყველა სართულს, დაკავებულობებიდან, დაკავებულობის დატვირთვებიდან, სართულიანობიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე (ცხრილი 1021.2(2)), ესაჭიროება ორი გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია. განვიხილოთ გასასვლელი საშუალებები სართულების მიხედვით:

- -4.02 ნიშნულზე მდებარე სართულს გააჩნია ორი გასასვლელი, კერძოდ: „A^1“ ღერთან, „1-2“ მონაკვეთზე, მდებარე გზა-კარი, რომელიც გვირაბული გასასვლელის გავლით მიემართება შენობის გარეთ (გვირაბული გასასვლელი აკმაყოფილებს 1027.4 ქვეთავის შესაბამისი შიგა ეზოს მოთხოვნებს, კერძოდ, კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი არ არის 1 საათზე ნაკლები, ხოლო ღიობები დაცულია 45 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით, ამასთან გასასვლელის გადახურული ნაწილი, დამატებით, აღჭურვილია

ავტოსაშხეფი სისტემით) და „M-K“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც ±0.00 ნიშნულზე (შენობიდან გამოსასვლელის მეორე დონეზე) პირდაპირ მიემართება შენობის გარეთ. აღნიშნული გასასვლელი საშუალებები, 1015.2.2 ქვეთავის თანახმად, მოწყობილია 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით, ანუ ისინი ერთმანეთისგან, 1015.2.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის თანახმად (ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გათვალისწინებით), დაშორებულია სართულის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის არანაკლებ ერთმესამედზე. მართალია, -4.02 ნიშნულზე მდებარე სართული წარმოადგენს შენობიდან გამოსასვლელის ერთ-ერთ დონეს, მაგრამ ამ სართულისა და მიწის დონეები განსახვავებულია (მიწის დონე უფრო მაღალ ნიშნულზეა), ამიტომ ზემოხსენებულ გვირაბულ გასასვლელში გათვალისწინებულია პანდუსები, რომლებიც უზრუნველყოფენ -4.02 ნიშნულზე მდებარე სართულის კავშირს მიწის დონესთან (-2.42 ნიშნულთან). რაც შეეხება -3.80 და -3.40 ნიშნულებზე მდებარე ტექნიკურ სივრცეებს, თითოეულ მათგანს გააჩნია თითო დამოუკიდებელი გასასვლელი გზა-კარის სახით, რაც ამ სივრცეების დაკავებულობის დატვირთვებისა და გასასვლელთან სავალი მაქსიმალური მანძილების გათვალისწინებით სავსებით საკმარისია და შეესაბამება 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნებს;

- ±0.00 ნიშნულზე მდებარე სართულს გააჩნია ოთხი გასასვლელი, კერძოდ: „D-E“ და „E-D“ ღერძებს შორის მდებარე ორი გზა-კარი (შენობის მთავარი შესასვლელები), რომელთაგან პირველი მიემართება შენობის გარეთ (მიწის დონეზე) გარე გასასვლელის ერთმარშიანი გზა-კიბის საშუალებით, ხოლო მეორე პირდაპირ მიემართება შენობის გარეთ; „M-K“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც ამ ნიშნულზე პირდაპირ მიემართება შენობის გარეთ; „C-B“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც ერთი სართულით დაბლა (-4.02 ნიშნულზე), დერეფნისა და გვირაბული გასასვლელის გავლით, მიემართება შენობის გარეთ. ამ შემთხვევაშიც გასასვლელისა და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარებს შორის დაშორება აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის მოთხოვნებს;

- რაც შეეხება +4.20 და +8.40 ნიშნულებზე მდებარე სართულებს, თითოეულ მათგანს გააჩნია ორი გასასვლელი ზემოთ ნახსენები შიგა გასასვლელის გზა-კიბეების სახით. ამ გზა-კიბეებთან მისადგომი გზა-კარები ერთმანეთისგან დაშორებულია სართულის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის არანაკლებ ერთმესამედზე, რაც აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის მოთხოვნებს. განვმეორდები და აღვნიშნავ, რომ „M-K“ ღერძებს შორის მდებარე გზა-კიბე, ±0.00 ნიშნულზე, პირდაპირ მიემართება შენობის გარეთ, ხოლო „C-B“ ღერძებს შორის მდებარე გზა-კიბე, -4.02 ნიშნულზე, მიემართება შენობის გარეთ დერეფნისა და გვირაბული გასასვლელის გავლით, რაც დასაშვებია „წესების“ მიხედვით, რადგან დაკმაყოფილებულია 1027.1 ქვეთავის N1 გამონაკლისის მოთხოვნები. შენობიდან გამოსასვლელები აკმაყოფილებს 1009.2, 1022.1 და 1027.1 ქვეთავის მოთხოვნებს. მართალია, საპროექტო შენობა ოთხსართულიანია, მაგრამ ვინაიდან მას გააჩნია შენობიდან გამოსასვლელის ორი დონე (-4.02 და ±0.00 ნიშნულებზე), გამოდის, რომ ±0.00 ნიშნულიდან ათვლის შემთხვევაში შენობის სართულიანობა სამია ანუ ოთხზე ნაკლები და ამიტომ რომელიმე გზა-კიბის სახურავის ზედაპირამდე გაგრძელების აუცილებლობა, 1009.16 ქვეთავის მიხედვით, არ არის (მიუხედავად ამისა სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია +8.40 ნიშნულზე მდებარე სართულიდან, „F“ ღერძის გასწვრივ მდებარე დამოუკიდებელი კიბის და ერთ-ერთერთი გზა-კიბის ფარგლებში, “B” ღერძთან მდებარე ლიუკის საშუალებით);

- ვინაიდან შენობა არ არის მაღლივი, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები არ არის აუცილებელი, რომ იყოს დაუკვამლიანებელი შემოზღუდული სივრცეები, საკმარისია, რომ ისინი, 1022.2 ქვეთავის თანახმად, დანარჩენი სივრცეებისგან შემოზღუდული იყოს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის შემომზღუდავებით და ნიავდებოდეს ბუნებრივად ან მექანიკურად, რაც პროექტით გათვალისწინებულია, კერძოდ: შიგა გასასვლელის ორივე გზა-კიბე დანარჩენი სივრცეებისგან შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, ხოლო ღიობები, 716.5 ცხრილის თანახმად, დაცულია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით. რაც შეეხება გარე კედლებს, მათი

ცეცხლმედეგობის ხარისხი რეგულირდება 602-ე ცხრილის მიხედვით და ამ შემთხვევაში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებიდან გამომდინარე, შიგა გასასვლელის არცერთი გზა-კიბის გარე კედელს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება, გარდა „C-B“ ღერძებს შორის მდებარე გზა-კიბის ორი გარე კედლისა, რომლებსაც მდებარეობიდან გამომდინარე, 1022.7 ქვეთავის თანახმად, ესაჭიროება 45 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რაც პროექტით გათვალისწინებულია. ორივე გზა-კიბე ნიავდება მექანიკურად/დაწნევით (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი). მიუხედავად იმისა, რომ -4.02 ნიშნულზე მდებარე სართული წარმოადგენს შენობიდან გამოსასვლელის დონეს, შიგა გასასვლელის გზა-კიბეებთან მაინც არის გათვალისწინებული ვესტიბიულები (ტამბურები), რომლებიც ასევე შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ზღუდეებით, ხოლო ამ ზღუდეებში მოწყობილი ღიობები ასევე დაცულია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით. გზა-კიბის ვესტიბიულებიც დაწნევადია (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

გაფრთხილება №1: შენობიდან გზა-კიბეზე და შენობიდან ვესტიბიულში გასასვლელი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.1 ქვეთავების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლის მიხედვით ანჯამიანი ან ღერძზე მოძრავკარიანი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი NFPA 252-ის ან UL 10 C-ს შესაბამისად უნდა შემოწმდეს. ცეცხლმედეგი კარები NFPA 80-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

გაფრთხილება №2: გზა-კიბეების შემომზღუდავში ჩაყენებული კარები 907.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული კვამლაღმომჩენების გააქტიურებისთანავე ან კვამლაღმომჩენის ან კარის ღიად დამჭერი მექანიზმისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტისთანავე ავტომატურად უნდა იხურებოდეს. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას, კვამლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წამზე მეტი არ უნდა დასჭირდეს.

გაფრთხილება №3: 1006.2 ქვეთავის თანახმად, გზა-კიბეების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს. 1006.3 ქვეთავის თანახმად დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს გასასვლელი საშუალებები და დენით

მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- გზა-კიბეებს, ყველა სართულზე, აკავშირებს გასასვლელთან მისადგომი დერეფნები, რომლებიც მოწყობილია 1018 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. პროექტით გათვალისწინებულია საჰაერო შახტები, რომლებიც შესაბამის მოწყობილობებთან ერთად უზრუნველყოფს მექანიკურ განიავებას/კვამლის მექანიკურ გაწოვას (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

გაფრთხილება: დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს დერეფნები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

- შენობიდან გამოსვლის მერე საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა შესაძლებელია დაუბრკოლებლად, საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5. გზა–კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- ორივე, „C-B“ და „M-K“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელი გზა-კიბის თავისუფალი სიგანე არის 1.36 მეტრი, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. 1005.3.1, 1009.4 და ქვეთავების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, აგრეთვე, „D-E“ ღერძებს შორის მდებარე, ±0.00 ნიშნულისა და მიწის დონის დამაკავშირებელი ერთმარშიანი გარე გზა-კიბის და გვირაბულ

გასასვლელში მდებარე პანდუსების სიგანეებიც. გზა-კიბეებზე, სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები, 1013-ე ქვეთავის შესაბამისად. სახელურები მოწყობილია კიბეების და პანდუსების ორივე მხარეს, 1012-ე ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს;

- დერეფნის მინიმალური სიგანე არსად არის 1.20 მ-ზე ნაკლები, ხოლო იმ ადგილებში, სადაც გამოიყენება საკაცეები, დერეფნის სიგანე შეადგენს მინიმუმ 1.80 მ-ს. რაც შეეხება **დწ-2** ჯგუფის ფართობების დერეფნებს, სადაც აუცილებელია საწოლების გადაადგილება, დერეფნის სიგანე შეადგენს 2.40 მ-ს, რაც აკმაყოფილებს 1018.2 ცხრილის მოთხოვნებს;

- ყველა კარის (რომელიც არის გასასვლელი საშუალების ნაწილი/კომპონენტი) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ღიობის 0.82 მ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, ხოლო ყველა იმ კარის სიგანე, რომლებიც გამოიყენება საწოლების გასატან-შემოსატანად უზრუნველყოფს 1.10 მეტრ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო შენობის ±0.00 ნიშნულზე მდებარე ერთ-ერთ მთავარ შესასვლელამდე, ეზოდან შენობის -4.02 ნიშნულზე მდებარე შესასვლელამდე (ამ დონეზე მხოლოდ ერთი შესასვლელია) და შემდგომ შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104-ე ქვეთავისა. გამონაკლისს წარმოადგენს მოწყობილობა

დანადგარებისათვის განკუთვნილი სივრცეები, რომლებსაც 1103.2.9 ქვეთავის თანახმად, მისაწვდომობა არ მოეთხოვება და -4.02 ნიშნულზე მდებარე სამზარეულო, გასახდელებითა და სველი წერტილებით, სადაც, შენობის ტექნოლოგიური პროექტის ავტორის განმარტების თანახმად, შშმ პირები არ მოხვდებიან, რასაც ექსპერტიც ვეთანხმები და დასაშვებად მიმაჩნია (იხ. შპს „ინოსისტემსის“ 27.07.2021 წლის N E 21/179 წერილი);

- საპროექტო შენობას, ±0.00 ნიშნულზე, გააჩნია ორი მთავარი შესასვლელი, რომლიდანაც ერთი („E-D“ ღერძებს შორის მდებარე) - არის მისაწვდომი, რაც აკმაყოფილებს 1105.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე ორივე ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს (იხ. სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება);

- 1107.5.3.1 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობის **დწ-2** ჯგუფის საძინებელი ერთეულებიდან (პალატებიდან) ერთი - აკმაყოფილებს მისაწვდომობის მოთხოვნებს, ხოლო რაც შეეხება 1107.5.3.2 ქვეთავით განსაზღვრულ ბ ტიპის ერთეულებს, მათი არსებობის საჭიროება არ არის, რადგან შენობაში ხანგრძლივად საცხოვრებლად განკუთვნილი ერთეულები გათვალისწინებული არ არის;

- ავტოსადგომები უზრუნველყოფილია 1106.1 ცხრილის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი სივრცეებით. თანახმად 1106.5 ქვეთავისა, ყოველი ექვსი მისაწვდომი ავტოსადგომი სივრციდან, სულ მცირე ერთი ან მათგან რაღაც ნაწილი მიკროავტობუსებისთვის მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცე უნდა იყოს, რაც პროექტით გათვალისწინებულია. მიკროავტობუსისათვის მისაწვდომი სივრცე განთავსებულია შენობის გარეთ, ღია ავტოსადგომზე. მიკროავტობუსისათვის განსაზღვრული პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს (იხ. სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება);

- შენობა უზრუნველყოფილია მისაწვდომი ტუალეტებით, რაც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

- სასადილო ფართობები არის მისაწვდომი, ხოლო სასადილო ზედაპირების 5% არის მისაწვდომი, რაც აკმაყოფილებს 1108.2.9.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას. 1007.2 ქვეთავის შესაბამისად, თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს 1007.3, 1022-ე ქვეთავების შესაბამისად მოწყობილ მისაწვდომ გზა-კიბეებს და მისაწვდომ სვლაგეზს. ვინაიდან შენობა მთლიანად არის აჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, გზა-კიბის სახელურებს შორის 1.20 მ თავისუფალი სიგანე და გზა-კიბის ფარგლებში თავშესაფრის ფართობის მოწყობა საჭირო არ არის (იხ. 1007.3 ქვეთავის N1 და N2 გამონაკლისები);

  გაფრთხილება: ლიფტი, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტებთან, შესაბამისი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის წარწერით, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს;

შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- საპროექტო შენობის არცერთი გარე კედლის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი არ არის 9.0 მ-ზე ნაკლები, რაც იმას ნიშნავს, რომ შენობის გარე კედლებს, 602-ე ცხრილის მიხედვით, ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება, გამონაკლისს წარმოადგენს „C-B“ ღერძებს შორის მდებარე გზა-კიბის ორი გარე კედელი, რომლებსაც მდებარეობიდან გამომდინარე, 1022.7 ქვეთავის თანახმად, ესაჭიროება 45 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რაც პროექტით გათვალისწინებულია;

  შენიშვნა: ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები გაზომილია კედლების ზედაპირიდან (მართი კუთხით), როგორც წარმოსახვით ხაზამდე, ასევე საკადასტრო საზღვრამდე.

- დეკორის მიზნით, საპროექტო შენობის ფასადებზე გამოყენებულია ლითონშემცველი მასალა, რაც ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რადგან დაცულია 1407.11.4 ქვეთავის მოთხოვნები, კერძოდ: გარე კედლების ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, როგორც აღვნიშნეთ, 9.0 მ-ზე მეტია; ლითომშემცველი მასალის პანელების საერთო ფართობი არ აღემატება სართულის წინა გარე კედლის ფართობის 50%-ს, ხოლო ლითონშემცველი მასალის თითო პანელის მაქსიმალური ზომა და ფართობი არ არის შეზღუდული, რადგან შენობა მთლიანად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით;

  გაფრთხილება: ლითონშემცველი მასალა უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა მოთხოვნას:

  1. ASTM D 1919-ის შესაბამისად შემოწმების დროს ლითონშემცველი მასალის თვითაალების ტემპერატურა უნდა იყოს 343^0 C ან 343^0 -ზე მეტი;
  2. ASTM 635-ის შესაბამისად შემოწმების დროს ლითონშემცველი მასალა უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ მოცემული წვადობის კლასებიდან ერთ-ერთს:

     კლასი CC1: მასალა, რომლის წვის სიდიდე 1.5 მმ ნომინალური სისქის ან გამოსაყენებლი სისქის შემოწმებისას 2.5 სმ ან 2.5 სმ-ზე ნაკლებია;

     კლასი CC2: მასალები, რომელთა წვის სიჩქარე, 1.5 მმ ნომინალური სისქის ან გამოსაყენებელი სისქის შემოწმებისას1.06 მმ/წმ ან 1.06 მმ/წმ-ზე ნაკლებია.

- ვინაიდან საპროექტო შენობა მთლიანადაა აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, 705.8.5 ქვეთავის №2 გამონაკლისის მიხედვით მომიჯნავე სართულების ღიობების ერთმანეთისგან შვეულ დაშორებებთან მიმართებაში გამიჯვნის საჭიროება არ არის. აღნიშნული მოთხოვნა არ ეხება, აგრეთვე, ლითონშემცველ მასალებსაც (იხ. 140711.4.4 ქვეთავის გამონაკლისი);

- გარე კედლებს არ გააჩნია პარაპეტი, რადგან მისი არსებობა ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის რადგან დაცულია 705.11 ქვეთავის №1 გამონაკლისის მოთხოვნები.

- ვინაიდან საპროექტო შენობის გარე კედლების ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები 9.0 მ-ზე მეტია, 705.8 ცხრილის თანახმად, ამ კედლებში მოწყობილი ღიობების ფართობი შეუზღუდავია.

  გაფრთხილება: ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების (მათ შორის პარაპეტის) დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

  გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კოსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.

- 601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (I-B ტიპი) გამომდინარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის კოსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს უნდა გააჩნდეს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, თუმცა პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებულია ხანძარმედეგობის უფრო მეტი ხარისხი;

- სახურავზედა ნაგებობების (კიბის, ლიფტის, შახტების და სხვა ნაწილების) ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის ერთმესამედს, რაც აკმაყოფილებს 1509.2.2-ე პუნქტის მოთხოვნას.

გაფრთხილება: სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით, I-B ტიპის შემთხვევაში უნდა განეკუთვნოს B კლასს, თანახმად 1505.1ა ცხრილისა (B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას).

ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.

შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- კონსტრუქციის ტიპიდან (**I-B** ტიპი) გამომდინარე, შენობის ყველა იატაკის კონსტრუქცია არის რკინაბეტონის, გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი და შესაბამისად დაკავებულობების აუცილებელი თარაზული გამიჯვნის მოთხოვნები, რაც 508.4 ცხრილში საათების მიხედვითაა დადგენილი დაცულია;

- რაც შეეხება შვეულ გამმიჯნავებს განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

1) -4.02 ნიშნულზე მდებარე **სქ** და **სწ-2** დაკავებულობები, აგრეთვე **სქ** და **დს** დაკავებულობები გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ტიხრებით, ხოლო **დწ-2** და **სწ-2** დაკავებულობები გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ტიხრით, რაც ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის პირობებში აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს;
2) სახანძრო ტუმბოების ოთახი (**დს**) გვირაბული გასასვლელისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ტიხრით, თუმცა რადგან 913.2.1 ქვეთავის გამონაკლისი უშვებს 1 საათიან გამიჯვნას (შენობა არ არის მაღლივი და აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით) ტუმბოების ოთახის კარის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 45 წთ, რაც შეესაბამება 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;
3) ცალკე მდგომ შენობაში -3.80 და -3.40 ნიშნულებზე მდებარე სატრანსფორმატოროსა და საგენერატოროში, 903.3 1.1.1 ქვეთავის თანახმად, ავტოსაშხეფი სისტემა არ ყენდება, მაგრამ სამაგიეროდ ეს სივრცეები შენობის დანარჩენი ნაწილისგან გამიჯნული უნდა იყოს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ტიხრებით, რაც პროექტით გათვალისწინებულია;
4) ±0.00 ნიშნულზე მდებარე სალაროს ოთახი (**სქ**) წარმოადგენს მიმღებისა და კაფეტერიის (**თვ-2**) დამხმარე დაკავებულობას და ამიტომ მათი გამიჯვნა, 508.2.4 ქვეთავის თანახმად, საჭირო არ არის. 508.4 ცხრილის თანახმად, ასევე არ იმიჯნება ამ ნიშნულზე მდებარე **თვ-2** და **დს** დაკავებულობები, აგრეთვე, **სქ** და **სვ** დაკავებულობები;
5) შენობის დაკავებულობებიდან და მთლიან შენობაში გათვალისწინებული ავტოსაშხეფი სისტემიდან გამომდინარე, არცერთ დერეფანს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება;
6) 407.5 ქვეთავის თანახმად, +4.20 ნიშნულზე მდებარე სართული, სადაც **დწ-2** ჯგუფის დაკავებულობებია, გაყოფილია სამ ნაწილად/ქვეგანყოფილებად, 709-ე ქვეთავის შესაბამისი კვამლგაუმტარი ზღუდეებით, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი 1 საათია. ამ ზღუდეებში მოწყობილი ღიობები დაცულია 45 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით, რაც

აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს. აქვე აღსანიშნავია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით, +4.20 ნიშნულზე მდებარე სართულზე, დამატებით, გათვალისწინებულია უსაფრთხო ფართობი, რომელიც მდებარეობს ლიფტების სიახლოვეს და რომელიც დანარჩენი სივრცეებისგან გამიჯნულია 1 სააათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ტიხრებით (რეალურად ამ ტიხრების ცეცხლმედეგობის ხარიხი მინიმუმ 2 საათიანია), ხოლო ამ ტიხრებში მოწყობილი ღიობები დაცულია 60 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით;

7) შიგა გასასვლელის გზა-კიბეები, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, დანარჩენი სივრცეებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ზღუდეებით, რომლებშიც მოწყობილია 90 წთ-იანი ცეცხლმედეგობის თვითიკეტებადი კარები, რაც აკმაყოფილებს 1022.2 ქვეთავის და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;
8) მიწისქვეშა სართულზე მდებარე გზა-კიბის ვესტიბიულები ასევე შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რაც აკმაყოფილებს 909.20.2 ქვეთავის მოთხოვნებს. ვესტიბიულებიდან შენობის დანარჩენ სივრცეში გასასვლელი ღიობები დაცულია 90 წთ-იანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;
9) ლიფტებს, მიწისქვეშა სართულზე გააჩნია საერთო ფოიე, რომელიც ასევე შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, თუმცა ვინაიდან 713.14.1 ქვეთავი ითხოვს 708-ე ქვეთავის შესაბამის ცეცხლმედეგ ტიხრებს (რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეიძლება 1 საათიც იყოს), ამ შემომზღუდავებში მოწყობილი კარის ანაწყობების 30 წთ-იანი ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს 716.5.3 ქვეთავის მოთხოვნებს;
10) შენობაში არსებული შახტების (ლიფტის, საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათი, რაც აკმაყოფილებს 713.4. ქვეთავის მოთხოვნებს. ლიფტის კარების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 90 წუთი;

გაფრთხილება №1: ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.1 ქვეთავების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლის მიხედვით ანჯამიანი ან ღერძზე მოძრავკარიანი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი, რომელიც

კვამლგაუმტარი ზღუდის კედელში არ მდებარეობს, NFPA 252-ის ან UL 10 C-ს შესაბამისად უნდა შემოწმდეს. ცეცხლმედეგი კარები NFPA 80-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

გაფრთხილება №2: 716.5.3 ქვეთავის თანახმად, ცეცხლმედეგი კარის ანაწყობებს, რომლებიც 716.5 ცხრილში მოცემულ ცეცხლმედეგობის ხარისხიან კვამლგამუტარი ზღუდეების კედლებში მდებარეობს 20 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი სჭირდება და ისინი NFPA 252-ის ან UL 10 C-ს და UL 1784-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს. კვამლგაუმტარი კარები NFPA 105-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

გაფრთხილება №3: 716.5.2 ქვეთავის თანახმად, ლიფტის კარის ანაწყობები NFPA 252-ის ან UL 10B-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს.

გაფრთხილება №4: საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3. ქვეთავის
მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით).

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

- საპროექტო შენობა მთლიანად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, გარდა 903.3.1.1.1 ქვეთავით განსაზღვრული გამონაკლისი ადგილებისა (გამონაკლისი ადგილებია: ტუმბოების ოთახი, UPS-ის ოთახი, სასერვერო, -3.80 და -3.40 ნიშნულებზე მდებარე: სატრანსფორმატორო, საგენერატორო, საქვაბე და ტექნიკური ოთახი; აგრეთვე, საოპერაციოები, ლაბორატორიები, სასტერილიზაციო, ემბრიოლოგია და დიუარის ოთახი);

  გაფრთხილება: ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 903.3.1 - 903.3.6 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- ტუმბოების ოთახში, UPS-ის ოთახში, სასერვეროში, ლაბორატორიებში და სასტერილიზაციოში გათვალისწინებულია ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები;

გაფრთხილება: ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემების მოწყობა უნდა მოხდეს 904-ე ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა. მილდგარების სახელოს მისაერთებლები ისეა განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი ექცევა 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში.

  გაფრთხილება: სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 905 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- შენობაში გათვალისწინებულია კვამლის კონტროლის სისტემა, კერძოდ: შემოზღუდული კიბის უჯრედები დაწნევადია და მათ მიწისქვეშა სართულზე გააჩნია ასევე დაწნევადი ვესტიბიულები (ტამბურები); ლიფტის შახტა არის დაწნევადი; მიწისქვეშა სართულზე ლიფტებს გააჩნია დაწნევადი ფოიე; დაწნევის სისტემაა გათვალისწინებული, აგრეთვე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ მოთხოვნილ უსაფრთხო ფართობშიც, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, +4.20 ნიშნულზე, ლიფტების სიახლოვეს მდებარეობს; დერეფნები და ატრიუმის სივრცე აღჭურვილია მექანიკური კვამლგამწოვი სისტემებით (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი).

  გაფრთხილება: სისტემები უნდა მოეწყოს 909 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

  1) სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;
  2) კვამლის ავტომატური აღმომჩენები, რომლებიც განთავსებულია ყველგან, კიბის უჯრედების, კიბის ვესტიბიულების, ლიფტის ფოიეს და სველი წერტილების გარდა.

3) სახანძრო სიგნალიზაცია/სახანძრო განგაშის სისტემა, რომლის მოწყობილობები განთავსებულია დერეფნებში და თავშეყრის ფართობში (მიმღები/კაფეტერია);

4) საგანგებო ხმოვანი განგაშის სისტემა, რომლის რადიოგამოძახების ზონები, 907.5.2.2 ქვეთავის თანახმად, მოწყობილია გასასვლელის გზა-კიბეებზე, ასევე ყოველ იატაკზე/სართულზე (მათ შორის ლიფტებთან ახლოს);

გაფრთხილება: სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს 907.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო ავზი და სახანძრო ტუმბოების ოთახი.

გაფრთხილება: სახანძრო ტუმბოებთან დაკავშირებით დაცულ უნდა იქნეს 913-ე ქვეთავის მოთხოვნები.

- შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება.

გაფრთხილება: ცეცხლმაქრები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906 ქვეთავისა და NFPA 10-ის შესაბამისად (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- საპროექტო შენობაზე გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ერთი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია „წესების“ 912 ქვეთავით;

გაფრთხილება: სახანძრო მისაერთებლები უნდა განთავსდეს NFPA -ის სტანდარტების შესაბამისად (რომლების ეხება სისტემების დაგეგმარებას) და უნდა აკმაყოფილებდეს 912.2-912.5 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სამი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა.

ხანძრისაგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს. კერძოდ:

- -4.02 ნიშნულზე, გათვალისწინებულია ერთმანეთის დამოუკიდებლად, სამი საერთო სარგებლობის ტუალეტი, თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობებით, მათ შორის ორი, „B-C" და „C-E" ღერძებში არის გასახელებითა და საშხაპეებით უზრუნველყოფილი. „C-E" ღერძებში განკუთნილია შშმ პირთათვის. დამხმარე სათავსოში მოწყობილია სამომსახურო ნიჟარა.

- ±0.00 ნიშნულზე „2-3" ღერძებში, დერეფნის სივრცეში, გათვალისწინებული ერთი საერთო სარგებლობის ტუალეტი თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობებით, ასევე მოწყობილია ერთი მისაწვდომი ტუალეტი. აქვე მოწყობილია სივრცე სადაც განთავსებულია სამომსახურო ნიჟარა. თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობებით, გასახელებითა და საშხაპეებით მისაწვდომი ტუალეტებია გათვალისწინებული გასახდელების სივრცეებში „1-2" ღერძებში.

- +4.20 ნიშნულზე თითოეულ პალატას გააჩნია საკუთარი ტუალეტი უნიტაზით, ხელსაბანით და საშხაპით. ერთი პალატა, რომელიც "J-L" ღერძებშია მოწყობილი მთლიანად ადაპტირებულია შშმ პირთათვის. მომსახურე პერსონალისთვის კი მოწყობილია როგორც საერთო სარგებლობის ტუალეტი თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობებით, ასევე დამატებით ერთი ტუალეტი დონორის ოთახში ხელსაბნით, უნიტაზით და საშხაპით. ცალკე გამოყოფილია სივრცე სადაც განთავსებულია სამომსახურო ნიჟარა.

- რაც შეეხება ბოლო სართულს, +8.40 ნიშნულზე, სადაც ოფისები და ადმინისტრაციია განთავსებული, დერეფნის სივრცეში, ოფისების

დამკვეთებლებისთვის მოწყობილია საერთო სარგებლობის ტუალეტები თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობებით, აქვეა მოწყობილი მისაწვდომი ტუალეტი. ქალების ტუალეტში მოწყობილია სამომსახურო ნიჟარაც. ადმინისტრაციის სივრცეში მოწყობილია ორი ტუალეტი თითო ხელსაბნით, უნიტაზით და საშხაპით.

- ყველა სართული უზრუნველყოფილია სასმელი წყლის აპარატებით, რაც თავისთავად ასრულებს ცხრილის მიხედვით განსაზღვრული წყლის დასალევი შადრევნის ფუნქციას.

შენიშვნა: წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა დეტალურად არის ასახული „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი“-ს ცხრილში (გვ.10 და 11).

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

12. ლიფტების შეფასება:

- საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია 2 ლიფტი, რომლებსაც მხოლოდ მიწისქვეშა სართულზე გააჩნია 713.14 ქვეთავის თანახმად საჭირო შემოზღუდული ფოიე, რაც დასაშვებია 713.14.1 ქვეთავის N6 გამონაკლისის თანახმად, რადგან ლიფტის შახტა არის დაწნევადი (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

- ორივე ლიფტი არის მისაწვდომი სვლაგეზის შემადგენელი კომპონენტი;

- 1702.4 ქვეთავის თანახმად, ორივე ლიფტის კაბინის გაბარიტები იძლევა იმის საშუალებას, რომ მასში 60სმ X 2,15მ ზომის, არანაკლებ 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი საკაცე განთავსდეს. ლიფტებთან დატანილია სასწრაფო სამედიცინო დახმარების საერთაშორისო სიმბოლო (სიცოცხლის ვარსკვლავი). სიმბოლოს სიმაღლე 75 მმ-ია და განთავსებულია ლიფტის შახტის

შემომზღუდავის კარის ჩარჩოს შიგნით, ორივე მხარეს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1702.4 ქვეთავის მოთხოვნას;

- ლიფტის შახტის ბოლოში 1704.1, 1704.2 და 1704.3 ქვეთავების შესაბამისად. მოწყობილია საჰაერო ნახვრეტი, რომლის საშუალებითაც ხანძრისას კვამლი და ცხელი აირები გარეთ გაიწოვება, თუმცა სათანადო სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად დადგინდა შემდეგი: როგორც აღმოჩნდა ისეთ შახტებში, სადაც დაწნევის სისტემაა გათვალისწინებული (და სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს ამჟამად საქმე), საჰაერო ნახვრეტები დაუშვებელია, რადგან ის ხელს უშლის, ხანძრის დროს, შახტაში წნევის შენარჩუნებას, ამიტომ ეს საკითხი უნდა დაზუსტდეს საინჟინრო პროექტების დამუშავებისას;

გაფრთხილება №1: ლიფტი უნდა მოეწყოს მე-17 თავის მოთხოვნათა დაცვით.
გაფრთხილება №2: ლიფტი, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს.

ლიფტებთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

13. დწ-2 ჯგუფის მოთხოვნების შეფასება:

- **დწ-2** ჯგუფის დაკავებულობებში (ისევე როგორც საპროექტო შენობის სხვა დაკავებულობებში) არსებული დერეფნები უწყვეტად გადის გასასვლელებისკენ და სხვა ფართობებისგან გამიჯნულია 710-ე ქვეთავის შესაბამისი კვამლგაუმტარი ტიხრებით ანუ კედლებით, რომლებიც იატაკიდან ჭერამდე გრძელდება. აღნიშნული აკმაყოფილებს 407.2 ქვეთავის მოთხოვნას;

გაფრთხილება: დერეფნის კარები უნდა ქმნიდეს ეფექტიან კვამლგაუმტარ ზღუდეს და უნდა იკეტებოდეს რაზით. დაუშვებელია ენიანი საკეტის გამოყენება.

- **დწ-2** ჯგუფის დაკავებულობებში არსებულ ყველა ოთახს აქვს გასასვლელთან მისადგომი კარი, რომელიც პირდაპირ დერეფანში გადის, რაც აკმაყოფილებს 407.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

  გაფრთხილება: ჩამკეტი მექანიზმები, რომლებითაც იზღუდება დერეფნიდან პაციენტის სამკურნალო ოთახში შესვლა და მათ მხოლოდ პერსონალი მართავს დერეფნის მხრიდან, არ უნდა ზღუდავდეს პაციენტის სამკურნალო ოთახიდან გასასვლელ საშუალებებს.

- **დწ-2** ჯგუფის დაკავებულობებში არსებულ საძინებელ ოთახებსა და ოთახის გასასვლელთან მისადგომის კარამდე სავალი მანძილი არსად აღემატება 15.0 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 407.4.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის სართული, სადაც დწ-2 ჯგუფის დაკავებულობებია, სამ ნაწილად/ქვეგანყოფილებად არის გაყოფილი 709-ე ქვეთავის შესაბამისი კვამლგაუმტარი ზღუდეებით, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 1 საათი, რაც ზედმიწევნით აკმაყოფილებს 407.5 ქვეთავის მოთხოვნებს, რადგან მოთხოვნილი არის მხოლოდ ორ ნაწილად გაყოფა. განვმეორდები და აღვნიშნავ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით, +4.20 ნიშნულზე მდებარე სართულზე, დამატებით, გათვალისწინებულია უსაფრთხო ფართობი, რომელიც მდებარეობს ლიფტების სიახლოვეს, დანარჩენი სივრცეებისგან გამიჯნულია შესაბამისი ცეცხლმედეგობის მქონე ტიხრებით და გააჩნია დაწნევის სისტემა.

  გაფრთხილება: დერეფნის კვამლგაუმტარ ზღუდეში, დერეფნის პერპენდიკულარულად ჩაყენებული საპირისპიროდ გაღებადი კარების წყვილს, რომელსაც არ აქვს შუალი, ცეცხლმედეგობის ხარისხიან ჩარჩოებში ჩასმული ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე გამჭვირვალე მასალის პანელები უნდა ჰქონდეს, რომელთა ფართობი შემოწმების დროს განსაზღვრულ ფართობს არ აღემატება. კარები კარგად მორგებული უნდა იყოს, არ უნდა ჰქონდეს ფირფიტანები ან გისოსები და 1,9 სმ-ზე დიდი ღრეჩოები კარსა და იატაკს შორის. კარებს უნდა ჰქონდეს საჩერი, შემხვედრ კიდეებთან ასტრაგალები ან რაბატები და ავტომატურად უნდა იხურებოდეს კვამლაღმომჩენის საშუალებით.

- 407.5.1 ქვეთავის თანახმად, სამი დაუკვამლიანებელი განყოფილებიდან ორის თავისუფალი ფართობი იტევს მომიჯნავე დაუკვამლიანებელი განყოფილების დამკავებელთა ყველაზე დიდ დატვირთვას, რომელიც იანგარიშება თითოეული საწოლს ან საკაცეს მიჯაჭვული პაციენტისთვის არანაკლებ 2,8 მ^2-ის ოდენობით, ხოლო თითოეული ამბულატორიული პაციენტისა და სხვა დამკავებლისთვის არანაკლებ 0,56 მ^2-ის ოდენობით. აღნიშნული ფართობები განიხილება, როგორც თავშესაფრის ფართობები.

  შენიშვნა: თავშესაფრის გამოთვლაში დასაშვებია ისეთი ფართობების ან სივრცეების ჩართვა როგორიცაა: დერეფნები, საძინებელი ფართობები, საპროცედურო ოთახები და ა.შ.

დწ-2 ჯგუფთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

14. ატრიუმის შეფასება:

- მთლიანი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, რაც აკმაყოფილებს 404.3 ქვეთავის მოთხოვნებს;

- გასასვლელთან მისადგომისაკენ სავალი მანძილის ის ნაწილი, რომელიც ატრიუმის სივრცეშია მოქცეული 60 მ-ს არ აღემატება, რაც აკმაყოფილებს 404.9 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ვინაიდან ატრიუმი აკავშირებს ორზე მეტ სართულს, გათვალისწინებულია 907.2.14 ქვეთავის შესაბამისი სახანძრო განგაშის სისტემა და 909 ქვეთავის შესაბამისი კვამლის საკონტროლო სისტემა (იხ. განმარტებითი ბარათი);

- ატრიუმსა და მის მომიჯნავე სივრცეებს შორის საჭირო არ არის ცეცხლმედეგი ზღუდეები, რადგან ატრიუმი მხოლოდ სამ სართულზეა და მისი მომიჯნავე სივრცეები გათვალისწინებულია კვამლის საკონტროლო სისტემის გეგმაში, რაც დასაშვებია 404.6 ქვეთავის №3 გამონაკლისით;

გაფრთხილება: შიგა კედლის და ჭერის მოსაპირკეთებელი მასალები **ASTM E 84** - ისა და **UL 723** - ის შესაბამისად უნდა იყოს **B** კლასის (ალის გავრცელება 26-75; კვამლის წარმოქმნა 0-450).

ატრიუმთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

დ ა ს კ ვ ნ ა:

ზემოაღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.006.976) დაპროექტებული რეპროდუქტიული კლინიკის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად

დამატებითი გაფრთხილებები:

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით;
2. სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები (რომლებიც გამოყენებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემის მისაერთებლებთან), სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი და ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.
3. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები
- კვამლის საკონტროლო სისტემა
- ლიფტები და ლიფტის კაბინების განათება

- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად
- სახანძრო განგაშის სისტემები
- საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები
- ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები)

4. არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე;
5. უკანონოდ ჩაითვლება შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.

ექსპერტი:  ირაკლი კვარაცხელია

შ.პ.ს “ქალაქპროექტი“

საექსპერტო შეფასება

ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.006.976) დაპროექტებული რეპროდუქტოლოგიური კლინიკის მისაწვდომობის პროექტის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან -„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“- შესაბამისობის დადგენის მიზნით

დირექტორი:  მანუჩარ მახათაძე

ექსპერტი:  ირაკლი კვარაცხელია

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 1

საექსპერტო შეფასება მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- მისაწვდომი სვლაგეზი (მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები; თითოეული კარი და კართან მანევრირებისათვის საჭირო სივრცეები, პადუსები, ლიფტები)
- ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები (მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები, მისაწვდომი გზა-კიბეები, ფანჯრები, სახელურები, ავტოსადგომზე გამავალი მისაწვდომი სვლაგეზები)
- წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები (ტუალეტის ოთახები, უნიტაზები, ხელსაბანები)
- საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები (ნიშნები)
- სპეციალური ოთახები და სივრცეები (ტანსაცმლის გამოსაცვლელი, მოსაზომებელი და შესანახი ოთახები)

მისაწვდომი სვლაგეზების შეფასება:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. **მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.

- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით და ასევე საპროექტო ფართში მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.

- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- საპროექტო შენობაში მისაწდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. **კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კარების, ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.

- მწკრივში მდებარე ორ ანჯამიან კარს შორის სივრცე უზრუნველყოფს მოსატრიალებელ სივრცეს. დაცულია მათ შორის დადგენილი მინიმალური სიგანე 1.50 მეტრი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. **პანდუსები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 405-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- პანდუსების დახრა არ არის 1/12-ზე მეტი, კერძოდ პანდუსების დახრის პროცენტულობა შეესაბამება 405.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ქანობი, რომელიც იზომება პანდუსების სავალი მიმართულების პერპენდიკულარულად, არ აღემატება 1:48-ს, რაც შესაბამისობაშია 405.3 ქვეთავის მოთხოვნებთან.

- პანდუსების თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უტოლდება 900 მმ-ს, რაც შესაბამისობაშია 405.5 ქვეთავთან.

- პანდუსების სვლის ამაღლება უტოლდება 300 მმ-ს, რაც შესაბამისობაშია 405.6 ქვეთავთან.

- პანდუსების თავსა და ბოლოში უზრუნველყოფილია ბაქნები, ბაქნები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი და მათი ზედაპირები შეესაბამება 302-ე ქვეთავს, ბაქნების თავისუფალი სიგანე უტოლდება პანდუსის სიგანეს, ბაქნების თავისუფალი სიგრძე აღემატება 1500 მმ-ს. იქ სადაც პანდუსი იცვლის მიმართულებას, ბაქანზე

უზრუნველყოფილია მოსატრიალებელი სივრცე 1500X1500 მმ-ზე. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 405.7 – 405.7.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ვინაიდან პანდუსების ამაღლება ცდება 150 მმ-ს, პანდუსებს ემსახურება სახელურები, რაც აკმაყოფილებს 405.8 ქვეთავის მოთხოვნებს. თავის მხრივ სახელურები შეესაბამება 505-ე ქვეთავს.

- პანდუსების კიდეები დაცულია ორივე მხარეს, რაც შეესაბამება 405.9 ქვეთავის მოთხოვნას. კიდეები დაცულია 100 მმ-იანი ბორდიურით, 405.9.2.1 ქვეთავის შესაბამისად.

4. შენობაში მოწყობილია 407 ქვეთავის შესაბამისი 2 ლიფტი. ლიფტები, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპისათვის შერჩეული არ არის ლიფტის ზუსტი სახეობა და არ არის დადგენილი ლიფტის ზუსტი სპეციფიკაციები, წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე შეფასდა 407 ქვეთავის ძირითადი მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი (407 ქვეთავის მოთხოვნები სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ლიფტის სახეობის და მწარმოებელი კომპანიის შერჩევისას, აღნიშნული კომპანიის მიერ ლიფტის სპეციფიკაციის და პარამეტრების დაზუსტებისას და ლიფტის დამონტაჟებამდე, პროექტში ასახული შენიშვნების შესაბამისად):

- ორივე ლიფტის კაბინის კარის თავისუფალი ღიობის სიგანე მეტია 1000 მმ-ზე, რაც შესაბამისობაშია 407.3.6 ქვეთავთან.

- ორივე ლიფტის კაბინის თავისუფალი გაბარიტული ზომები მეტია 407.4.1 ცხრილში მითითებული ზომებისა და აკმაყოფილებს 407.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტების შეფასება:

1. **საპროექტო მიწის ნაკვეთზე მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეების რაოდენობა და ტიპი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი ავტოსადგომებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:**

- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის გასაჩერებელი სივრცის სიგანე უტოლდება 2500 მმ-ს, ხოლო მიკროავტობუსის - 3500 მმ-ს, რაც პასუხობს 502.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელი სივრცე დახაზულია, თანახმად 502.3 ქვეთავისა.

- მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელ სივრცეს ესაზღვრება მისაწვდომი გასავლელი. მისაწვდომი გასავლელი ესაზღვრება მისაწვდომ სვლაგეზს. მისაწვდომი გასავლელი არ ფარავს საავტომობილო გზას. მისაწვდომი ავტოსადგომების გასაჩერებელი სივრცის მისაწვდომი გასავლელის სიგანე უტოლდება 1500 მმ-ს, ხოლო მათი სიგრძე გრძელდება იმ ავტოსადგომი სივრცის მთელ სიგრძეზე, რომელსაც ის ემსახურება. მისაწვდომი გასავლელები აღნიშნულია გრაფიკულად, გასავლელებში პარკინგის თავიდან ასაცილებლად. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 502.4 – 502.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომი სივრცეები და მისაწვდომი გასავლელები შეესაბამება 302 ქვეთავს და მათი ზედაპირებები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. მისაწვდომი გასავლელები იმ ავტოსადგომი სივრცის დონეზე მდებარეობდეს, რომლისთვისაც ის განკუთვნილია, რაც შეესაბამება 502.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- მიკროავტობუსისათვის განკუთვნილი სივრცე ღიაა, შეაბამისად შვეული თავისუფალი სივრცე აკმაყოფილებს 2500 მმ თავისუფალი სიმაღლის მინიმალურ მოთხოვნას.

- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებს ემსახურება ნიშანი, რომელიც შეიცავს 703.6.3.1 ქვეთავის შესაბამის მისაწვდომობის

საერთაშორისო სიმბოლოს და მიკროავტობუსის ავტოსადგომისათვის ასეთი ნიშანი დამატებით შეიცავს წარწერას - „მისაწვდომია მიკროავტობუსებისთვის“/“VAN ACCESSIBLE”. ასეთი ნიშნების ქვედაპირი მდებარეობს ავტოსადგომი სივრცეებს იატაკიდან არაუმცირეს, 1500 მმ სიმაღლეზე. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 502.7 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი ავტოსადგომებისათვის განკუთვნილი გასაჩერებელი სივრცეები და ამ სივრცეების მომსახურე მისაწვდომი გასასვლელები არ ხერგავს მომიჯნავე მისაწვდომი სვლაგეზებისათვის განკუთვნილ აუცილებელ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 502.8 ქვეთავის მოთხოვნას.

2. **საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:**

- კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამაღლების სიმაღლე უტოლდება 180 მმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 300 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.

- კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.

- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი.

- კიბის ყოველი საფეხურის და საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.

- კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები.

- ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზა-კიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. სართულის აღმნიშვნელი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა.

3. ფანჯრები შეესაბამება 506-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომ ოთახებსა და სივრცებში, სადაც არის გაღებადი ფანჯრები, მინიმუმ ერთი ფანჯარა არის მისაწვდომი, რომელიც გამოიყენება განიავებისთვის, რაც აკმაყოფილებს 506.1 ქვეთავის მოთხოვნას.

  შენიშვნა: არ ეხება იმ ფანჯრებისა, რომლებიც გამოიყენება დასაქმებულების მიერ (506.1 ქვეთავის №1 გამონაკლისი).

4. სახელურები შეესაბამება 505-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- სახელურები მოწყობილია კიბეებისა და პამდუსების ორივე მხარეს, რაც აკმაყოფილებს 505.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- სახელურების სიმაღლე როგორ კიბეებზე, ასევე პანდუსებზე აკმაყოფილებს 505.4 ქეთავის მოთხოვნებს.

- სახელურების გაგრძელებები მოწყობილია 505.10 ქვეთავის შესაბამისად.

5. **ავტოსადგომზე გამავალი მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება 507-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზები გადის ავტოსადგომის არეალებში, სვლაგეზები განცალკევებულია საავტომობილო გზიდან. რაც შეესაბამება 507.1 ქვეთავს.

<u>წყალსადენის ელემენტების და მოწყობილობების შეფასება:</u>

1. **საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

- შენობაში მოწყობილ მისაწვდომი ტუალეტის ოთახებში, უნიტაზთან გათვალისწინებულია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავით დადგენილ მინიმალურ ზომებს.

2. **ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- უნიტაზი განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.

- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

- მისაწვდომი უნიტაზები უზრუნველყოფილია 309 და 604.6 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისი ჩარეცხვის სამართავებით.

- მისაწვდომ ტუალეტებში მოწყობილი ქაღალდის დისპანსერები აკმაყოფილებს 604.7, 309.4 და 609.3 ქვეთავების მოთხოვნებს.

3. **ტუალეტის ოთახებში მოწყობილი ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 და 305.3.1 ქვეთავების შესაბამისად.

- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606.3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

<u>საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:</u>

ნიშნები შეესაბამება 703 ქვეთავის მოთხოვნებს.

საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებეულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება

ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან, კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან და 0.00 ნიშნულზე გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. **აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.**

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზა-კიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი. **აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.**

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია სავაჭრო სივრცეებში განთავსებულ ყველა მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტის ოთახთან. **ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.**

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებში. **ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.**

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.

  - სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.

- სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
  - ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.

  - ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.

  - შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.
  - სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

  - ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

  - სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.

  - ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.

  - ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.

  - ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.

  - მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.

  - მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

<u>სპეციალური ოთახები და სივრცეები:</u>

შენობაში -4.02 და ±0.00 ნიშნულებზე მოწყობილი ტანსაცმლის გამოსაცვლელი და შესანახი ოთახები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-8 თავის დებულებებს.

  - ტანსაცმლის გამოსაცვლელ და შესანხ ოთახებში უზრუველყოფილია საპროექტო შენობებისათვის გაკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 803.2 და 304.3.2.1 ქვეთავების მოთხოვნას.

- ტანსაცმლის გამოსაცვლელ და შესანახ ოთახებში მოწყობილია 903-ე ქვეთავის შესაბამისი ძელსკაები, რაც აკმაყოფილებს 803.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- ძელსკამის ბოლოშიმარეობს იააკის თავისუფალი სივრცე, რომელსაც პარალელური მისაწვდომი აქვს ძელსკამოს ღერძთან,თანახმად 903.2 ქვეთავისა.

- ძელსკამის დასაჯდომის თავი მდებარეობს იატაკიდან არაუმცირეს 430 მმ და არაუმეტეს 480 მმ სიმაღლეზე, რაც აკმაყოფილებს 903.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

დასკვნა

ზემოაღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.006.976) დაპროექტებული რეპროდუქტიული კლინიკის მისაწვდომობის პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სატანდარტები“-ს მოთხოვნებთან. საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი:  ირაკლი კვარაცხელია

ექსპერტის მონაცემები

სახელი, გვარი: ირაკლი კვარაცხელია

დაბადების თარიღი და ადგილი: 23 ივნისი 1973 წელი, ქ. თბილისი

მისამართი: ქ. თბილისი, ჯანაშვილის ქ 5-7, ტ: 597 228 560

განათლება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი

პროფესია: არქიტექტორი

მუშაობის სტაჟი: 18 წელი

პროფესიული გამოცდილება: 1998 – 2008 წწ. ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური (მთ. სპეციალისტი, შემდგომ განყოფილების უფროსი)

2008 –2010 წწ. შპს “საამშენებლო კომპანია პლანეტა” (არქიტექტორი)

2010 – 2017 წწ შ.პ.ს “თბილქალაქპროექტი" (არქიტექტორი, შემდგომ დირექტორი დღემდე)

საქართველო

დიპლომი უა № 003165

მიეცა არაკელი ალექსანდრეს ძე კვირიკაშვილს

მასზე, რომ ის 1990 წელს შევიდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1996 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის სრული კურსი

არქიტექტურის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის „17" ივლისის გადაწყვეტილებით ა.ა. კვირიკაშვილს მიენიჭა

არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი „29" VII 1996 წ.

МПФ Гознака. 1996.

რეგისტრაციის № 4216

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-007

გადაეცემა

ირაკლი კვარაცხელიას

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

ღია საზოგადოების ფონდი

March 25-26, 2021

Accessible and Usable Buildings and Facilities - National Standards

Certificate awarded to

Irakli Kvaratskhelia

Keti Khutsishvili
Executive Director

www.osgf.ge

4, Chovelidze street, Tbilisi 0108, Georgia, Tel: (+995 32) 225 04 63; E-mail contact@osgf.ge

სს ინოსისტემსი
მისამართი: ვაჟა ფშაველას 16
ს/კ: 405460317
Mob.: +995 551 707 222
Tel/Fax: +995 032 237 10 07
E-mail: info@innosystems.ge
www.innosystems.ge

JSC Innosystems
Address: Vazha Pshavela 16
I/C: 4051460317
Mob.: +995 551 707 222
Tel/Fax: +995 032 237 10 07
E-mail: info@innosystems.ge
www.innosystems.ge

E 21/179

27/07/2021

მოგესალმებით!

თქვენი კითხვის პასუხად გწერთ.

A'-B და 2-4 ღერძებს შორის განთავსებული სამზარეულო დაპროექტებულია ბისტროს ტიპის პრინციპით, სადაც მანქანა-დანადგარები განლაგებულია ისე, რომ მოემსახუროს მაღალი დინამიკის სამუშაო პროცესებს. შესაბამისად მასში შშმ პირების დასაქმება გამორიცხულია. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ეს გარემოება თქვენს დასკვნაში და აღნიშნული პირებისთვის დასაქმების პირობები და მოთხოვნები მოცემულ სივრცეში არ გამოიყენოთ. იხილეთ ტექნოლოგიური პროექტი.

პატივისცემით,

დავით ჩხენკელი (ტექნოლოგი)

სს „ინოსისტემსის" დირექტორი

მისამართი ქალაქი თბილისი . აბრარული უნივერსიტეტის ტერიტორია . ს.კ.: N 01.72.14.006.976
დამკვეთი შპს სამედიცინო ჯგუფი ახალი სიცოცხლე . ID ნომერი: 402316444

პროექტის შეთანხმება
მშენებლობის ნებართვა

სამედიცინო დაწესებულება. საავადმყოფო

არქიტექტურული სტუდია:

პლატფორმა N ა



მთავარი არქიტექტორი:

არქიტექტორი:

ნუგზარ დვალიშვილი

ნუგზარ დვალიშვილი .
ანანო მაისურაძე

განმარტებითი ბარათი

დაგეგმარების საფუძვლების და მიზნის აღწერა:

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ბრძანება (№ 5136763 08.10.2020 წ.). პროექტის მიზანია არსებულ ტერიტორიაზე რეპროდუქტოლოგიის საავადმყოფოს შენობის დაგეგმარება მოქმედი კანონმდებლობის, თანამედროვე გეგმარების პრინციპებისა და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დაცვით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობის აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ.თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (ს.კ: 01.72.14.006.976). მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 6000.0 კვ.მ-ს და მდებარეობს სპეცზ-1 ში. ტერიტორიას სამხრეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება მიწის ნაკვეთები. დასავლეთიდან ესაზღვრება გრუნტზე მოწყობილი გზა, ხოლო აღმოსავლეთით მიწის ნაკვეთი და სერვიტუტით დატვირთული გზა რომელიც უკავშირდება აღმაშენებლის ხეივანს. ორივე გზიდან ხდება ნაკვეთში მოხვედრა.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

საპროექტო შენობა წარმოადგენს მიწის დონის ზემოთ 3 სართულიან და მიწის ნიშნულს ქვემოთ 1 სართულიან რეპროდუქტოლოგიის საავადმყოფოს. შენობის მაქსიმალური სიმაღლე არის 16,95 მ. შენობის პირველ სართულზე (±0.00 ნიშნულზე) განთავსებულია ფოიე, კაფეტერია, სალარო, აფთიაქი, საპრესკონფერენციო ოთახი, ექოსკოპიის, ანდროლოგისა და მეან. გინეკოლოგის კაბინეტები. მეორე სართულზე განთავსებულია ექიმის კაბინეტები, დონორის ოთახი, ოფისი, მედდის ოთახი, ინტენსიური თერაპის პალატა, ლაბორატორია და საოპერაციოები თავისი ინფრასტრუქტურით. ამავე სართულზეა განთავსებული 4 ორკაციანი და 1 ერთკაციანი პალატა. ეს სართული ანუ მეორე სართული, სადაც სტაციონარული მკურნალობის ოთახებია (პალატები და საოპერაციოები), დაყოფილია სამ კვამლშეუღწევ განყოფილებად, რაც შეესაბამება 41-ე დადგენილების მოთხოვნებს, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით, ამ სართულზე, დამატებით, ლიფტების სიახლოვეს, გათვალისწინებულია უსაფრთხო ფართობი, რომელიც აღჭურვილია დაწნევის სისტემით. ეს ფართობი შენობის სხვა სივრცეებისგან გამოყოფილია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ტიხრებით, რომელთა ღიობები დაცულია 60 წუთიანი

ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით (ტიხრები არის ბლოკის და ამიტომ მათი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რეალურად მინიმუმ 2 საათია). მესამე სართულზე განთავსებულია ოფისები საკონფერენციო, დირექტორისა და მთავარი ექიმის კაბინეტები. სარდაფის სართულზე განთავსებულია სამზარეულო, სამრეცხაო, ტექნიკური ოთახები, რენტგენის კაბინეტი, მორგი და სხვადასხვა სახის სათავსოები. შენობის სამხრეთით განთავსებულია სახანძრო ტუმბოების და წყლის რეზერვუარის ერთსართულიანი შენობა, ხოლო ჩრდილოეთით - გენერატორის, საქვაბისა და ტრანსფორმატორისთვის განკუთვნილი ერთსართულიანი შენობა.

იქიდან გამომდინარე, რომ შენობა განთასებულია რთულ რელიეფზე და ამავდროულად შენობაში მოხვედრა შესაძლებელია აღმოსავლეთიდან და დასვლეთიდან, შენობას გააჩნია ორი ცენტრალური შესასვლელი. ცენტრალურ ვესტიბიულში ვხვდებით დასავლეთის მხრიდან (±0,00 ნიშნულზე ვხვდებით), ხოლო - აღმოსავლეთის მხრიდან, მიწის ნიშნულიდან (-2,21), კიბების მეშვეობით ავდივართ მთავარ ვესტიბიულში . შესასვლელში მოეწყობა ვესტიბიული რომელიც კორიდორით დაუკავშირდება კაფეტერიას , ექიმის კაბინეტებსა და სხვა სივრცეებს.

შენობას გააჩნია ორი გზა-კიბე, რომლებიც ნიავდება მექანიკურად/დაწნევით. -4.02 ნიშნულზე გზა-კიბეებს გააჩნიათ ვესტიბიულები, რომლებიც ასევე დაწნევადია. საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია 2 ლიფტი, რომლებსაც მხოლოდ მიწისქვეშა სართულზე გააჩნია დაწნევადი ფოიე. დაწნევადია ასევე ლიფტის შახტაც. ორივე ლიფტის კაბინის გაბარიტები იძლევა იმის საშუალებას, რომ მასში 60სმ X 2,15მ. ზომის, არანაკლებ 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი საკაცე განთავსდეს. ორივე ლიფტი წარმოადგენს აუცილებელ მისაწვდომ გასასვლელ საშუალებას. დერეფნებში მოწყობილია შახტები, რომელიც შესაბამის მოწყობილობებთან ერთად უზრუნველყოფს მექანიკურ განიავებას/კვამლის მექანიკურ გაწოვას.

სართულები აღჭურვილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების სისტემით, რომელიც მოთხოვნილია №41 დადგენილებით. კერძოდ: 1) შენობა მთლიანად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, გარდა გამონაკლისი ადგილებისა, რომლებიც გახლავთ: ტუმბოების ოთახი, UPS-ის ოთახი, სასერვერო, -3.40 ნიშნულზე მდებარე: სატრანსფორმატორო, საგენერატორო, საქვაბე და ტექნიკური ოთახი; აგრეთვე, საოპერაციოები, ლაბორატორიები, სასტერილიზაციო, ემბრიოლოგია და დიუარის ოთახი. 2) რამდენიმე ზემოხსენებულ ფართობში (იქ სადაც ავტოსაშხეფი სისტემის არსებობა მიზანშეწონილი არ არის) გათვალისწინებულია ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები (სისტემების სახეობები დაზუსტდება საინჟინრო პროექტში. 3) შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა. 4) შენობაში გათვალისწინებულია კვამლის კონტროლის სისტემა, კერძოდ: შემოზღუდული

კიბის უჯრედები დაწნევადია და მათ მიწისქვეშა სართულზე გააჩნია ასევე დაწნევადი ვესტიბიულები (ტამბურები); ლიფტის შახტა არის დაწნევადი; მიწისქვეშა სართულზე ლიფტებს გააჩნია დაწნევადი ფოიე; დერეფნები და ატრიუმის სივრცე აღჭურვილია მექანიკური კვამლგამწოვი სისტემებით. 5) შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმოჩენი სისტემები, კერძოდ: სახანძრო განგაშის ხელის სამარათავი კოლოფები; კვამლის ავტომატური აღმომჩენები, რომლებიც განთავსებულია ყველგან, კიბის უჯრედების, კიბის ვესტიბიულების, ლიფტის ფოიეს და სველი წერტილების გარდა; სახანძრო სიგნალიზაცია/სახანძრო განგაშის სისტემა, რომლის მოწყობილობები განთავსებულია დერეფნებში და თავშეყრის ფართობში (მიმღები/კაფეტერია); საგანგებო ხმოვანი განგაშის სისტემა, რომლებიც მოწყობილია გასასვლელის გზა-კიბეებზე, ასევე ყოველ იატაკზე/სართულზე. 6) შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება. 7) შენობაზე გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ერთი მისაერთებლის მოწყობა,

<u>ყველა ხანძრისგან დაცვის სისტემების მოწყობას და შემდგომ ზედამხედველობას უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახური და სახანძრო სისტემების სპეციალისტები.</u>

შენობა შედგება მართკუთხა მოცულობისა და ამ სიბრტყიდან გამოწეული მოცულობებისგან . ±0,00 ნიშნულზე ვესტიბიულში არსებული ატრიუმითა და მის სამხრეთით არსებული ღია სივრცით შენობა გაყოფილია 2 ნაწილად. ვინაიდან ატრიუმი აკავშირებს ორზე მეტ სართულს, გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის სისტემა და კვამლის საკონტროლო სისტემა. შენობის ორი ნაწილი ერთმანეთთან მინის საფასადე სისტებით მოწყობილი ხიდებითაა დაკავშირებული. ხიდები ჩანს როგორც ღია სივრცეში ასევე ატრიუმშიც . შენობის ფასადი მოწყობილია გაუმჭვირვალე მინის საფასადე სისტემით, ხოლო გამოწეული მოცულობები - Fundermax-ისა და Alucobond-ის საფასადე მასალებით. გამჭვირვალე მინის საფასადე სისტემებითაა მოწყობილი ხისა და მეტალიკის საფასადე მასალების ჩარჩოში მოქცეული სივრცე.

შენობის გადახურვა ბრტყელია და სახურავიდან წვიმის გადაყვანა ხდება საწვიმარი მილებით, რომლებიც განთავსებულია ფასადის მოწყობის სისტებაში.

<u>პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:</u>

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიან სისტემას წარმოადგენს. საძირკველი - რკინაბეტონის ფილა. შენობის

კონსტრუქციული ტიპი, მისი სართულიანობისა და დაკავებულობებიდან გამომდინარე, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით, I-B ტიპისაა.

შენობის დაგეგმარებისას გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის №255 დადგენილება.

"ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილება.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

გამოყენებული წესები - **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“**

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება
1. **საქმიანი ჯგუფი სქ** (სამედიცინო იტორიების ოთახი, რენტგენის კაბინეტი, სამზარეულო, სამრეცხაო, დაცვის ოთახი, ინჟინერ-ტექნიკოსის ოთახი -4.02 ნიშნულზე; სალარო, მცირე საკონფერენციო ოთახი, მენეჯერის ოთახი, ლაბორატორია, ამბულატორიული მომსახურების ოთახები და ოფისი ±0.00 ნიშნულზე; მთავარი მედდის ოთახი, ექიმების ოთახები და ოფისი +4.20 ნიშნულზე; ორი მცირე საკონფერენციო ოთახი, სამზარეულო-სასადილო და ადმინისტრაციის თანამშრომლების ოთახები/ოფისები +8.40 ნიშნულზე)
2. **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (მედიკამენტების და ინვენტარის საწყობები -4.02 ნიშნულზე);
3. **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (სატრანსფორმატორო -3.40 ნიშნულზე, საგენერატორო -3.80 ნიშნულზე, ნარჩენების საცავი, ხსნარების შესანახი ოთახი, სერვერის ოთახი, UPS-ის ოთახი და სამრეწველო ინვენტარის საწყობი -4.02 ნიშნულზე);
4. **დამხმარე ჯგუფი დს** (ტექნიკური მოწყობილობების ოთახები -4.02 და -3.80 ნიშნულებზე; სასმელი წყლის ტუმბოს ოთახი -4.02ნიშნულზე, სახანძრო ტუმბოების ოთახი -4.72 ნიშნულზე, დამხმარე სათავსოები -4.02 და ±0.00 ნიშნულებზე; საქვაბე -3.80 ნიშნულზე);
5. **დაწესებულებითი ჯგუფი დწ-2** (მორგი -4.02 ნიშნულზე; პალატები, ინტენსიური თერაპიის პალატა, განაყოფიერებისა და ლაპარასკოპიის ოთახები, ქირურგის მოსამზადებელ და ხელსაბან სივრცეებთან ერთად, მორიგე მედდის ოთახი, ემბრიოლოგიის ოთახი, სტერილიზაციის ოთახი, დიუარი, დონორის ოთახი, აგრეთვე რამდენიმე თანმხლები გამოყენების ოთახი, კერძოდ: ლაბორატორიები, ნარჩენების ოთახი და სუფთა და ბინძური თეთრეულის ოთახები და ხსნარების ოთახი +4.20 ნიშნულზე)
6. **თავშეყრის ჯგუფი თვ-2** (ერთ სივრცეში მყოფი მიმღები და კაფეტერია ±0.00 ნიშნულზე)
7. **სავაჭრო სივრცე სვ** (აფთიაქი ±0.00 ნიშნულზე)

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის არსებული შენობისთვის: მაგალითი: I-A, II-B, V-A, V-B	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის: მაგალითი: I-A, II-B, V-A, V-B	**I-B მიწის ზემოთ 3 სართული** **I-B მიწის ქვემოთ 1 სართული**
შერეული კონსტრუქციის შემთხვევაში მიუთითეთ ტიპები, რომელიც გამოყენებული იქნება, განსაზღვრეთ ტიპები და მათი მდებარეობა:	

სიმაღლის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	დასაშვები სართულიანობა	შემოთავაზებული სართულიანობა
1. საქმიანი ჯგუფი სქ	11 სართული	1 სართული (მიწისქვეშ) + 3 სართული
2. სასაწყობო ჯგუფი სწ-1	11 სართული	1 სართული (მიწისქვეშ)
3. სასაწყობო ჯგუფი სწ-2	11 სართული	1 სართული (მიწისქვეშ)
4. დამხმარე ჯგუფი დს	5 სართული	1 სართული (მიწისქვეშ) + 1 სართული
5. დაწესებულებითი ჯგუფი დწ-2	4 სართული	1 სართული (მიწისქვეშ) + 1 სართული
6. თავშეყრის ჯგუფი თვ-2	11 სართული	1 სართული
7. სავაჭრო ჯგუფი სვ	11 სართული	1 სართული
	დასაშვები სიმაღლე	შემოთავაზებული სიმაღლე
შენობის საერთო სიმაღლე =	48.8	16.95
მიწის ზემოთ სართულის რაოდენობა =		3
მიწის დონის ქვედა სართულის რაოდენობა =		1

ფართობის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით			
დაკავებულობები		დასაშვები ფართობი კვ.მ.	შემოთავაზებული ფართობი კვ.მ.
1. საქმიანი ჯგუფი სქ (სამედიცინო ისტორიების ოთახი, რენტგენის კაბინეტი, სამზარეულო, სამრეცხაო, დაცვის ოთახი, ინჟინერ-ტექნიკოსის ოთახი)	-4.72 -4.02 -3.40 -3.80	შეუზღუდავი	230.6
2. დაწესებულებითი ჯგუფი დწ-2 (მორგი)		შეუზღუდავი	16.2
3. საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (მედიკამენტების და ინვენტარის საწყობები)		4460.0	84.4
4. მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (სატრანსპორმატორო, საგენერატორო, ნარჩენების საცავი, ხსნარების შესანახი ოთახი, სერვერის ოთახი, UPS-ის ოთახი და სამრეწველო ინვენტარის საწყობი)		7340.0	97.0
5. დამხმარე ჯგუფი დს (ტექნიკური მოწყობილობების ოთახები, საქვაბე, სახანძრო და სასმელი წყლის ტუმბოების ოთახი, დამხმარე სათავსო)		3300.0	212.6

6. საქმიანი ჯგუფი სქ (სალარო, მცირე საკონფერენციო ოთახი, მენეჯერის ოთახი, ლაბორატორია, ამბულატორიული მომსახურების ოთახები, ოფისი)	**±0.00**	**შეუზღუდავი**	**370.7**
7. სავაჭრო ჯგუფი სვ (აფთიაქი)		**შეუზღუდავი**	**15.6**
8. თავშეყრის ჯგუფი თვ-2 (ერთ სივრცეში მყოფი მიმღები და კაფეტერია)		**შეუზღუდავი**	**194.4**
9. დამხმარე ჯგუფი დს (დამხმარე სათავსო)		**3300.0**	**5.1**
10. საქმიანი ჯგუფი სქ (მთავარი მედდის ოთახი, ექიმების ოთახები, ოფისი)	**+4.20**	**შეუზღუდავი**	**144.2**
11. დაწესებულებითი ჯგუფი დწ-2 (პალატები, ინტენსიური თერაპიის პალატა, განაყოფიერებისა და ლაპარასკოპიის ოთახები ქირურგის მოსამზადებელ და ხელსაბან სივრცეებთან ერთად, მორიგე მედდის ოთახი, ემბრიოლოგიის ოთახი, სტერილიზაციის ოთახი, დიუარი, დონორის ოთახი, აგრეთვე რამდენიმე თანმხლები გამოყენების ოთახი, კერძოდ: ლაბორატორიები, ნარჩენების ოთახი და სუფთა და ბინძური თეთრეულის ოთახები და ხსნარების ოთახი)		**შეუზღუდავი**	**365.6**
12. საქმიანი ჯგუფი სქ (ორი მცირე საკონფერენციო ოთახი, სამზარეულო-სასადილო და ადმინისტრაციის თანამშრომლების ოთახები/ოფისები)	**+8.40**	**შეუზღუდავი**	**544.5**
იატაკის საერთო ფართობი =		**2280.9**	
იატაკების რაოდენობა =		**3+1**	
შენობის საერთო ფართობი =		**2280.9 + 351.0 (-4.02 ნიშნ) + 399.4 (±0.00 ნიშნ) + 364.4 (+4.20 ნიშნ) + 349.1 (+8.40 ნიშნ) + 17.9 (+12.40 ნიშნ) = 3762.7**	

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები

ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით

გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი** (საათი)		**კედლის ღიობების ფართობი**					
				დასაშვები			**გათვალისწინებული**		
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
ყველა ღერძებში ყველა ნიშნულზე	9-ზე მეტი	0	0	შეუზღუდავია	**შეუზღუდავია**	შეუზღუდავი	-	**აკმაყოფილებს**	-

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები									
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ავტოსაშხეფი სისტემა	ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემა	სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემები	კვამლის საკონტროლო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრები	საავარიო განგაშის სისტემები	ხანძრის მართვის ცენტრი	სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი
საქმიანი ჯგუფი სქ	კი (გარდა ლაბორატორიისა)	კი (ლაბორატორიაში)	კვამლის ავტომატური აღმომჩენი	-	-	-	-		კი
